განმარტებითი ბარათი

საპროექტო ტერიტორია: მდ. აბაშის კანიონი, მდებარეობს მარტვილის მუნიციპალიტეტის სოფელ გაჭედილის მიმდებარედ. ადგილი, სადაც განთავსდება დამთვალიერებელთა და ადმინისტრაციული ცენტრი და ინფრასტრუქტურული ობიექტები, მდებარეობს მდ. აბაშის მარცხენა სანაპიროზე, სოფელ ინჩხურის ტერიტორიაზე, ხოლო მარჯვენა ნაპირი უჭირავს სოფელ ლებაჩეს.

ტექნიკური დავალების შესაბამისად, ტერიტორიაზე საჭიროა მრავალი ობიექტის მოწყობა, კერძოდ: დამთვალიერებელთა ცენტრი-ადმინისტრაცია, გადასახედი ბაქანი, ორი (დიდი და პატარა) ხიდი, ნავმისადგომი გასასეირნებელი ნავებისთვის, მოსასვენებელი ადგილები, არსებული წისქვილის რეკონსტრუქცია, დადიანების ყოფილ საბანაოზე ჩასასვლელი ქვის კიბის აღდგენა და მასზე მოაჯირების მოწყობა, ბეწვის ხიდის აღდგენა, კანიონის ცალკეულ მონაკვეთებზე შეკიდული და კონსოლური ბილიკების მოწყობა მოაჯირებით, ნავების შესანახი გადახურული სივრცე, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთათვის ნავმისადგომამდე მისასვლელი ბილიკის მოწყობა სპეციალური მოაჯირებით, რთულ უბნებზე მოაჯირიანი ბილიკების მოწყობა, ლითონის ღობე ტერიტორიის შემოსაღობად, მცირე არქიტექტურული ფორმები - მიმართულების მაჩვენებელი ისრები, საინფორმაციო დაფები და ა.შ.

ჩვენს მიერ შედგენილ იქნა ესკიზური პროექტი, რომლის დახვეწა, შემდგომ, გამარჯვების შემთხვევაში, შესაძლებელია და, ურთიერთშეთანხმებით, გათვალისწინებული იქნება სხვა სამუშაოებიც.

ცალკეული საპროექტო ობიექტების აღწერა:

1. დამთვალიერებელთა ცენტრი-ადმინისტრაცია:

ესკიზურ პროექტში გათვალისწინებულია საინფორმაციო-საგამოფენო დარბაზი, სადაც ცალკე გამოყოფილი იქნება ასევე ფართი სუვენირების მაღაზიისთვის. ამავე სივრცეში გათვალისწინებულია ადმინისტრაციის ფართი სამზარეულოს კუთხითა და სანკვანძით. სანკვანძები ასევე გათვალისწინებულია დამთვალიერებელთათვის და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთათვის. შენობა ერთსართულიანია, ბრტყელი გადახურვით, სადაც მოეწყობა ღია ტერასა დამთვალიერებელთათვის. ტერასა ასევე მოეწყობა პირველ სართულზეც, დასასვენებლით.

2. გადასახედი ბაქანი:

ჩვენი მოსაზრებით, მისი მოწყობა შესაძლებელია მარტვილი-გაჭედილის მთავარი გზის მიმდებარედ, არსებულ სასაფლაოსთან ახლოს მდებარე ბორცვზე.

3. ხიდები:

ტერიტორიაზე არის ორი ხიდი - ერთი, პატარა ხის ხიდი, რომელიც წინამდებარე ტერიტორიას აკავშირებს მდ. აბაშასთან, და მეორე ხიდი, რომელიც აკავშირებს სოფელ ლებაჩესთან, აგებულია სოფლის ადგილობრივი მოსახლეობის მიერ გასული საუკუნის 50-60-იან წლებში და საჭიროებს მთლიან რეკონსტრუქციას. ხიდი გადადის კანიონის თავზე.

4. პირსი (ნავმისადგომი) გასასეირნებელი ნავებისთვის:

განთავსდება იმ ადგილზე, სადაც დღემდე ხდება ტურისტების ჩასხდომა ნავებში. მიმდებარე ტერიტორიაზე განთავსდება ნავების შესანახი სათავსი. რაც შეეხება გასასეირნებელი ნავების ტიპს, ყველაზე მოსახერხებელია გასაბერი ნავები.

5. წისქვილი:

ტერიტორიაზე არის ორი წისქვილი: ერთი, ყველაზე ძველი, რომელივ განთავსებულია დადიანების საბანაოს ტერიტორიაზე, და მეორე, რომელიც მდებარეობს დღეს არსებულ პატარა ხიდთან. როგორც ადგილობრივმა უხუცესმა გლეხმა აგვიხსნა, ამ ორ წისქვილს შორის არსებობდა გვირაბი, რომლის მეშვეობითაც, ზედა წისქვილიდან გამომავალი წყალი უერთდებოდა ქვემოთ, დადიანების საბანაოსთან მდებარე წისქვილს. ამ ეტაპზე რამდენად შესაძლებელია ამ გვირაბის აღდგენა, ჩვენ დროის უკმარისობის გამო ვერ შევისწავლეთ.

ზემოთ არსებული ძველი წისქვილი შესაძლებელია აღვადგინოთ წყლის წისქვილად, ან პერსპექტივაში მასში მოეწყოს მცირე გენერატორი. შენობას ექნება ბრტყელი გადახურვა, რომელზეც მოეწყობა ღია ტერასა ჩანჩქერზე გადასახედით და ქარის წისქვილის დეკორატიული ბუტაფორიით, რაც დამატებით მიმზიდველობას შესძენს ობიექტს ტურისტებისთვის.

"LIVE DESIGN"

6. ქვის ძველი კიბე, რომელიც ჩადის ე.წ. დადიანების საბანაოზე, აღდგენილი იქნება იმავე ქვით და მოეწყობა ლითონის მოაჯირები.

7. ბეწვის ხიდი:

ტერიტორიაზე არსებობდა ბეწვის ხიდი, რომელიც სოფ. ლებაჩეს მოსახლეობას აკავშირებდა ძველ წისქვილთან. ხიდი დღეს თითქმის ამორტიზებულია, თუმცა ვფიქრობთ, რომ შესაძლებელია მისი აღდგენა ძველი სახით. კონსტრუქცია ლითონის ბაგირებით და ხის იატაკით.

8. კონსოლური და შეკიდული ბილიკები კანიონის ცალკეულ უბნებზე:

აღნიშნული ბილიკები მოეწყობა მეტალის და ხის კომბინირებული კონსტრუქციით. ზუსტი განლაგების ადგილები და მანძილები დადგინდება პროექტირების პროცესში.

P.S. განმარტებით ბარათზე მუშაობის პროცესში, 3 ივნისს, მოხდა მდინარე აბაშის მოულოდნელი ადიდება, რამაც გამოიწვია დამთვალიერებელთა არაორგანიზებული ჯგუფების მოხვედრა სახიფათო ზონაში. მომავალში, მსგავსი ინციდენტების თავიდან აცილების მიზნით, აღნიშნული შემთხვევა გათვალისწინებული იქნება პროექტირების პროცესში.

"LIVE DESIGN"

სავარაუდო ხარჯთაღრიცხვა

№	სამუშაოთა დასახელება	განზ. ერთ.	რაოდენობა	ერთეულის ფასი	სულ ჯამი ლარებში
1	2	3	4	5	6
1	ვიზიტორტა ცენტრი-ადმინისტრაცია	მ²	120,00	600,00	72000,00
2	გადახურული ბაქანი (მეტალის კონსტრუქცია, დამუშავება ბუნებრივი ჟანგვის პროცესით)	მ²	20,00	450,00	9000,00
3	ხიდი (მეტალის კონსტრუქცია, დამუშავება ბუნებრივი ჟანგვის პროცესით) სიგრძე 6 მეტრი განი 3 მეტრი	ც	1,00	10000,00	10000,00
4	ხიდი (მეტალის კონსტრუქცია, დამუშავება ბუნებრივი ჟანგვის პროცესით) სიგრძე 14მეტრი განი 6 მეტრი	ც	1,00	42000,00	42000,00
6	სოფელთან დამაკავშირებელი „ბეწვის ხიდი" ლითონის კონსტრუქცია სიგრძე 14 მტ. განი 1 მტ.	ც	1,00	8000,00	8000,00
5	პირსი (ნავმისადგომი) სასასეირებელი ნავმისადგომისათვის. ეტალის და ხის კომბინირებული კონსტრუქცია	მ²	15,00	300,00	4500,00
6	ნავების შესანახი გადახურული სივრცე	მ²	15,00	250,00	3750,00
7	გადახურული მოსაცდელი სკამებით	მ²	15,00	300,00	4500,00
3	არსებული წისქვილის რეკონსტრუქცია	მ²	15,00	550,00	8250,00
8	ავტოსადგომი	მ²	900,00	50,00	45000,00
8	მისასვლელი გზა	მ²	3000,00	50,00	150000,00
8	ღობე ქვის და მეტალის შერქყმით სიმაღლე 1,8 მტ	გრძ/მ	1,00	150,00	150,00
2	საფეხმაველო კიბე-ბილიკები მოაჯირით (მეტალის კონსტრუქცია, დამუშავება ბუნებრივი ჟანგვის პროცესით)	გრძ/მ	1,00	145,00	145,00
4	არსებული ძველი ქვის კიბის რესტავრაცია მეტალის მოაჯირით	გრძ/მ	1,00	145,00	145,00

LIVE DESIGN LTD

5	კანიონში კლდის გარკვეულ მონაკვეთზე კონსოლური ან შეკიდული ბილიკი (მეტალის და ხის კომბინირებული კონსტრუქცია, დამუშავება ბუნებრივი ჟანგვის პროცესით)	გრძ/მ	1,00	350,00	350,00
7	ნავმისადგომამდე მისასვლელი გზის მთელ მონაკვეთზე შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთათვის მოძრაობის ბილიკის მოწყობა	გრძ/მ	1,00	350,00	350,00

LIVE DESIGN
412683993
LIVE DESIGN

ვიზიტორთა ცენტრი

სართულის გეგმა

მ 1:100



ტერასის გეგმა

მ 1:200



"LIVE DESIGN"

ვიზიტორთა ცენტრი-ადმინისტრაცია

"LIVE DESIGN"





წისქვილი

ნავების შესანახი

პირსი

"LIVE DESIGN"

მოსაცდელი სკამი



დიდი ხიდი

"LIVE DESIGN"

ბეწვის ხიდი



პატარა ხიდი



"LIVE DESIGN"

პირსთან მისასვლელი შეზღ. შესაძლებლობების მქონე პირთათვის





კანიონზე გადასახედი



"LIVE DESIGN"

მიმართულების მაჩვენებელი

ღობე



საინფორმაციო დაფა

"LIVE DESIGN"

"LIVE DESIGN"
LIVE DESIGN
ნავების შესანახი სივრცე
მოსასვენებელი ადგილი
ვიზიტორთა ცენტრი
შეკიდული ბილიკი
P
მდ.ალაზანის კანიონი
დადიანების კიბე
გადასახედი ბაქანი
პირსი
ბეწვის ხიდი
პატარა ხიდი
წისქვილი
დიდი ხიდი
მარცვილი

ხედი საავტომობილო გზიდან

წისქვილი და ვიზიტორთა ცენტრი

პირსხე ჩასასვლელი

შეკიდული ბილიკი

ბეწვის ხიდი

"LIVE DESIGN"

დადიანების კიბე
"LIVE DESIGN"